ხელშეკრულება №26/12-ე

დას. საბერიო 27. 02. 2012 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს „ენგურჰესი", იურ. მისამართი ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №50, ფაქტიური მდებარეობა - გალის რაიონი, დას. საბერიო, შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, *მისი დირექტორტა საბჭოს თავმჯდომარის – ლევან მებონიას* სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

შპს „ბლიცი 4X4", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის ქ. №6, შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული, მისი დირექტორის – გივი დათაშვილის სახით, რომელიც ასევე მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

1. პრეამბულა

- მხარეები აღასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად გამოხატავს მათ ნებას და თანაბრად იცავს მათ უფლებებს, არცერთი მხარე არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.
- მხარეები სრული პასუხისმგებლობით აღასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მოვალებად სამართლებლივ დოკუმენტს.
- მხარეები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ თითოეული მათგანი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- მხარეები იძლევიან გარანტიას და აღასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ სრული სამართლებრივი უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების გასაფორმებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველი" ავალებს, ხოლო „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში – არგონით დატუმბული ბალონი და აზოტით დატუმბული ბალონი წარდგენილი განაცხადის შესაბამისად, სათანადო ხარისხისა და ოდენობით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს აღნიშნული საქონელი და დროულად ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ერთი ბალონი არგონის (6მ^3) ღირებულებაა: 140 (ასორმოცი) ლარი, ერთი ბალონი აზოტის (6მ^3) ღირებულებაა: 30 (ოცდაათი) ლარი, სახელშეკრულებო თანხა წლიურად მოსაწოდებელ საქონელზე შეადგენს: 1 500 (ათასხუთას) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. ანგარიშსწორება მოწოდებულ საქონელზე მოხდება-უნაღდო ანგარიშსწორებით;

3.3. ანგარიშსწორება მოწოდებულ საქონელზე განხორციელდება ეტაპობრივად მიღებული საქონლის ოდენობის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;

4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

4.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღება მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

4.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს მოწოდებული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე განახორციელებს - შპს "ენგურჰესი"- ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის ექსპედიტორი – მ. სოსელია.

5.2. შემოწმების შედეგად წუნდებული საქონლის შეცვლა მოხდება სადეფექტო აქტის შედგენიდან 3 დღის ვადაში.

5.3. მოწოდებულ საქონელზე მიღება – ჩაბარების აქტის შედგენა ხდება მუდმივმოქმედი კომისიის მიერ საქონლის საბოლოო მიღების ადგილზე – შპს „ენგურჰესში".

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხარისხობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი 7.3 პუნქტში დაფიქსირებულ ვადაში;
- წუნდებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში დროულად მოახდინოს მისი შეცვლა ახლით ან დაიბრუნოს უკან;
- მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ახლით შეცვლის შემთხვევაში ტრანსპორტირების ხარჯები;

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას საქონელი გაიტანოს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით;

6.3 შემსყიდველი ვალდებულია 3 დღის ვადაში შეატყობინოს მომწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1. საქონლის გატანა მოხდება შემსყიდველის მიერ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით.

7.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების შესაბამისად მიაწოდოს საქონელი წარდგენილი განაცხადის საფუძველზე ეტაპობრივად თვეში ორჯერ შესაბამისი დოკუმენტაციით და გათვალისწინებული ხარისხით.

7.3. საქონლის მიწოდების ვადაა 3 დღე მოსაწოდებელ საქონელზე კონკრეტული განაცხადის წარდგენის ან სატელეფონო შეტყობინების დღიდან.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად რაოდენობრივად და ხარისხობრივად შემოწმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

9. ხარისხი

9.1 მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტებს;

10 მხარეთა პასუხისმგებლობები

10.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.

10.2 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" 2 დღეზე მეტად გადააცილებს საქონლის მოწოდების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "შემსყიდველის" წინაშე მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.

10.4 გადახდის დაგვიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" გადაიხდის "მიმწოდებლის" სასარგებლოდ მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,07%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

11.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

12. ფორს - მაჟორი

12.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური, საომარი მოქმედებებით, ხანძრით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და უშუალოდ გავლენა იქონია მის შესრულებაზე;

12.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოებების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად;

12.3. მხარე, რომელსაც წარმოექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს;

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

13.2. ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადის დენა იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. მხარეები წამოჭრილ სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით წერილობითი შეტყობინებების და შესაბამისი წესით გაფორმებული დოკუმენტების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, სადაო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "ენგურჰესი"	შპს „ბლიცი 4X4"
იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი.	მისამართი: ქ. თბილისი,
ჭავჭავაძის ქ. № 50, ფაქტიური მდებარეობა	სამგორის ქ. № 6
გალის რაიონი დას. საბერიო.	
სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის	
ფილიალის ზუგდიდის განყოფილება	
ბანკის კოდი 220101929	ს/კოდი 208156056
ა/ა 301467126 ს/კოდი-251716371	ა/ა ----------
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
---------- ლ. მებონია	---------- გ. დათაშვილი